1265-11-3-202102091833

N 1265 09/02/2021

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №44(ბ)
დაფინანსების წყარო: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი
(პროგრამული კოდი 310901)

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, გრანტით დაფინანსების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვით. („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის **„ს[1]"** ქვეპუნქტისა და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის'' მე-2 მუხლის ,,ა'' პუნქტის საფუძველზე) (CPV-კოდი – **79530000-მთარგმნელობითი მომსახურება)**

ერთის მხრივ **სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო (შემდგომში შემსყიდველი)** სააგენტოს უფროსის მოადგილის **დავით ალადაშვილის** სახით, მისამართი: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. № 6. ს/კ 204578581. ტელ: 2753910. საბანკო რეკვიზიტები: ცენტრალური ხაზინა, TRESGE22, ა/ა GE24NB0330100200165022 ხოლო, მეორეს მხრივ **ინდ. მეწარმე ირმა ხვედელიძე (შემდგომში მიმწოდებელი)** წარმოდგენილი **ირმა ხვედელიძის** სახით, მისამართი: ქ. თბილისის ვაკის რაიონში, ჭავჭავაძის გამზირი 35, ს/კ 105042588 (ელ. ფოსტა gsirma@yahoo.com) საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE76TB7426636512500001 ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **მთარგმნელობითი მომსახურების** (წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2 პუნქტში მითითებული აღწერილობის, რაოდენობებისა და ფასების შესაბამისად) შესყიდვა ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება
2.1 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს **528.00 (ხუთას ოცდარვა) ლარს,** დღგ- ს გარეშე.
2.2 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა, რაოდენობა და ღირებულება:

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ჯამი
1	თარგმნა ქართულიდან ინგლისურ ენაზე 24 გვერდი; სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2021-2026.	528
		სულ ჯამი: 528

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება
3.1 შესყიდვის ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების დასკვნის საფუძველზე.
3.2 შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულების დასრულებისთანავე შემსყიდველის წარმომადგენლები (კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები) განიხილავენ ამ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულების შესაბამისობას ხელშეკრულებით დადგენილთან.
3.3 იმ შემთხვევაში თუ, შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, დასკვნის მომზადების დღესვე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიღებას, ხოლო თუ, გამოვლინდება, რომ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ყველა

ვალდებულება არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი შესყიდვის ობიექტი.
3.4 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 3.3 პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიღება, მიმწოდებელს ახალი უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდებამდე დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მე-11 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
3.5 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
3.6 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერის შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმომწერი იქნება **სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე- ნათია იორდანიშვილი.**

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხრციელდეს ხელშეკრულების **გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დამუშაო დღის განმავლობაში.**
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ელექტრონულად, ელ. ფოსტის მეშვეობით მისამართზე: natia.iordanishvili@forestry.gov.ge

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი.
5.2 განახორციელოს მომსახურება **მაღალკვალიფიკაციურ დონეზე, დაიცვას ორიგინალი ტექსტის შინაარსი, სტილი, ტერმინოლოგია, უზრუნველყოს ნათარგმნი ტექსტის გრამატიკული გამართულობა და აიღოს პასუხისმეგბლობა მის მიერ ნათარგმნი ტექსტის სიზუსტეზე.**
5.3 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვას მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.
5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების განუხრელი შესრულება.
5.5 ხელშეკრულებაში მითითებული სათარგმნი გვერდების რაოდენობა არის სავარაუდო (არაუმეტეს) და შესაბამისად, შემსყიდველი უფლებამოსილია არ განახორციელოს ხელშეკრულების ღირებულლების სრული ათვისება.
5.6 შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სათარგმნი დოკუმენტაცია (ანგარიში) მიმწოდებელს გადასცეს ხელშეკრულების გაფორმების დღესვე.

6. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტი იქნება ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ერთიანად, ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მიხედვით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენიდან **10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.**
7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარებში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ (ხელშემშლელ გარემოებებში არ ითვლება წვიმა, ქარი, თოვლი და ა.შ.) გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს

წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა
10.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების ამ მუხლში.
10.3 თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:
10.3.1 შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით, ან
10.3.2 სამუშაოს დასრულებამდე "მიმწოდებელს" დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით
10.4 თუ 10.3.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და „მიმწოდებელი" ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა
11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
11.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია განახორციელოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება ან მისი ნაწილის;
11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
11.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
11.3.3 წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.3 პუნქტის დადგომის შემთხვევაში;
11.3.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.4 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
12.1 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენელები: **სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის უფროსი - ნათია ცხოვრებაძე და ფინანური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომელი - გიორგი ნოზაძე** (შემდგომში „კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფი").
12.2 კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის ფუნქციებია:
12.2.1 გაუწიოს კონტროლი შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
12.2.2 დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მოწოდებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და/ან მოთხოვნებს. (მ.შ. – ვალდებულებებს). ამ მიზნით განახორციელოს მონიტორინგი.
12.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
12.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს („ფორს-მაჟორში“ არ ითვლება წვიმა, ქარი, თოვლი და ა.შ.), რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

13.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

14.3 პირობები, რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ინტერესთა კონფლიქტი

15.1 “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, აგრეთვე ვიზების დამდები პირები, ამავდროულად ვადასტურებთ, რომ <u>**არ ვიმყოფებით ინტერესტა კონფლიქტში აღნიშნულ მიმწოდებელთან.**</u>

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების **ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 1 აპრილამდე.**

16.2 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება ქართულ ენაზე.

მიმწოდებელი:

ინდ. მეწარმე ირმა ხვედელიძე

_____

ირმა ხვედელიძე

შემსყიდველი:

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

_____

დავით ალადაშვილი

სააგენტოს უფროსის მოადგილე

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო